ლუი-ოგიუსტ-ფელიქს დე ბოჟური „სამხედრო მოგზაურობა ოსმალეთის იმპერიაში...“

Louis-Auguste-Félix de Beaujour. Voyage militaire dans l'Empire othoman, ou Description de ses frontières et de ses principales défenses, soit naturelles, soit artificielles... par le baron Félix de Beaujour. T. II, Chez Firmin Didot Frères, Paris, 1829

Le Kour en descendant de Gori baigne les murs de Metzketh, sous lesquels il reçoit l'Aragvi descendu du Caucase, et entre ensuite dans une vallée une, au milieu de laquelle est la ville de Tibilis, nommée vulgairement Téflis. Le fleuve divise la ville en deux parties, qui communiquent l'une avec l'autre par un pont de bois d'une seule arche, reposant sur deux énormes culées en briques. Sur la rive droite est la Ville proprement dite, composée de la ville (39) vieille et de la ville nouvelle, séparées entre elles par d'anciens fossés et adossées toutes deux à une montagne à pic, sur laquelle on voit un vieux fort abandonné. Le fort nouveau ou la forteresse proprement dite est sur la rive gauche du fleuve: c'est un simple carré fermé d'un mur en briques avec des tours aux angles et environné d'un joli faubourg, habité par des colons allemands qui cultivent les jardins d'alentour. La ville vieille n'a que de petites rues tortueuses, bordées de maisons de boue et à demi enterrées; mais la ville neuve, bâtie par les Russes, est bien alignée et présente des rues de 60 pieds de large, bordées de maisons en briques et ornées de belles places. Téflis, le siège actuel du gouvernement russe, a plus de vingt mille habitants, sans compter cinq mille hommes de garnison, et la population en augmente tous les jours: c'est un mélange de Russes, d'Arméniens, de Juifs et même de Persans, professant tous leur religion avec une égale liberté. Cette Ville est le principal entrepôt du commerce de la Géorgie, et l'on y voit des caravanes continuelles de chameaux qui y apportent, les unes de Bakou et de Chamaki, les marchandises de la Perse, les autres de Poti et de Koutai's celles de la Turkie. (40)

გორიდან ჩამოსული მტკვარი ეხეთქება მცხეთის კედლებს, სადაც ის კავკასიონიდან წამოსულ არაგვს იერთებს და შემდეგ მიედინება ხეობაში, რომლის შუაში მდებარეობს ტფილისი (Tibilis), რომელსაც ხალხში ტეფლისს (Téflis) უწოდებენ. მდინარე ქალაქს ორ ნაწილად ყოფს, რომლებიც ერთმანეთს აგურის ორ უზარმაზარ საყრდენზე გადებული ერთთაღიანი ხის ხიდით უკავშირდება. მარჯვენა მხარეს მდებარეობს საკუთრივ ქალაქი, რომელიც შედგება ძველი და ახალი ქალაქისგან; ისინი ერთმანეთისგან ძველი თხრილითაა გამიჯნული და ორივე ებჯინება მთას, რომელზეც ძველ მიტოვებულ ფორტს დაინახავ. ახალი ფორტი, უფრო კი ციხესიმაგრე, მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს: ეს არის უბრალო მოედანი, რომელსაც კუთხეებში კოშკებიანი აგურის კედელი აკრავს და გარშემორტყმულია ლამაზი გარეუბნით; იქ გერმანელი ახალმოშენეები ცხოვრობენ, რომლებიც გარშემო მდებარე ბაღებს ამუშავებენ. ძველ ქალაქში მხოლოდ პატარა დაკლაკნილი ქუჩებია მიწური და ნახევრადმიწური სახლებით, მაგრამ ახალი ქალაქი, რომელიც რუსებმა ააშენეს, კარგად არის მოსწორებული და ქუჩების სიგანე 60 ფუტია [18,3 მ]; მათ გასწვრივ ჩამწკრივებულია აგურის სახლები და დამშვენებულია ლამაზი მოედნებით. ტფილისში, რუსეთის ამჟამინდელი მთავრობის რეზიდენციაში, 20,000 მოსახლეზე მეტია, რომელშიც არ იგულისხმება 5,000 კაციანი გარნიზონი; მოსახლეობა იქ დღითიდღე იზრდება: ეს არის რუსების, სომხების, ებრაელებისა და აგრეთვე სპარსელების ნარევი; თავის რელიგიას ყველა თანაბარი

თავისუფლებით მისდევს. ეს ქალაქი საქართველოს ვაჭრობის მთავარი საწყობია და იქ გამუდმებით ხედავ აქლემების ქარავნებს, რომლებსაც ბაქოდან და შემახადან სპარსული, ფოთიდან და ქუთაისიდან კი თურქული საქონელი ჩამოაქვთ.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)